№ 91
სამშაბათი, 13 მაისი 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ ი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 91
სამშაბათი, 13 მაისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


## ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს **ჭავჭავაძისას** (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი, № 21) და **„წერა კითხვის საზოგადოების“** წიგნის მაღაზიას.

---

### საზოგადო წლიური კრება

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ დანიშნულია 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. უნდა განხილულ იქმნენ შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1896 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1897 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—3)

---

საზაფხულო თეატრი
(პუშკინისეული)
ოთხშაბათს 14 მაისს
ახლად შემდგარი ამხანაგობა ქართული საერო

### ხოროსი

ახლად შეკერილ საგანგებო ქართულ ქულაჯებით პირველად ტფილისში ზ. კავსაძის ლოტბარობით
გამართავს

### კონცერტს

ოთხს განყოფილებით 26 სიმღერით.

ხორო შეასრულებს მხოლოდ საქართველოს ყველა კუთხეების საუკეთესო ხალხურს ხმებს: ქართლ-კახურს, გურულ-იმერულს, ფშავ-ხევსურულს, მეგრულს, ოსურს და სხვ. ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

დასაწყისი სეირნობისა 6 საათსედ.
კონცერტისა სრულ 9 საათზედ.

გამგე ხოროსი და კონცერტისა
ივ. მჭედლიშვილი.

---

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგე კომიტეტი აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ **წლიური საზოგადო კრება წევრთა** დანიშნულია ამ წლის 22 მაისს, დილის 11 საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში.

### განსახილველნი არიან:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1-ს იანვრიდგან 1896 წ. 1-ს იანვრამდე 1897 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1897 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის სადგურისათვის მიწის სყიდვის შესახებ.

4) სხვა-და-სხვა თხოვნა და წვრილმანი საგნები.

(5—უ—3)

---

### სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფების გასინჯვა შეიძლება დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას და საბებიოს მკურნალი **ე. ფ. ბაცევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

(10—6.—1)


---

### მთავრობის განკარგულებანი

—

მათის ბრწყინვალების გზათა მინისტრის ნება დართვით კავკასიის გზათა უწყების ოლქის სამმართველოში, ოლქისავე უფროსის თავმჯდომარეობით შესდგა კამისია, რომელსაც აზრად აქვს გამოსცადოს ყველა ისინი, ვისაც სურს მიითვისოს გზათა უწყების ტეხნიკოსის წოდება; გამოცდა დანიშნულია 5 სექტემბრისათვის 1897 წ. 10 საათზედ, ოლქის მმართველობის სადგომში (ტფილის, სერგიევის ქუჩა, სახლი ჩითახოვის მემკვიდრეთა).

—

დანიშნულ იქმნა: ტფილისის მაზრის პოლიციის მმართველობის მოხელე ვასილ თოფურია იმავე მმართველობის მე-X კლასის შტატს გარეშე მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად.

---

## ახალი ამბავი

⁂ ტელეგრამით გვატყობინებენ ქუთაისიდგან, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლად თავ. სიმონ წერეთელი ამოურჩევიათ, 254 ხმის უმეტესობით 6 წინააღმდეგ.

⁂ საზოგადო კრება ქართულის დარამატიულის საზოგადოებისა, ნაცვლად 27 აპრილისა, რომელსაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ დაესწრო, დანიშნულია ხელ-ახლად 28 მაისის, საღამოს 7 საათისათვის.

⁂ უგან. თავადს ნ. დ. მინგრელსკის ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს თურმე რუსეთის ზოგიერთ სოვდაგრებთან იმის შესახებ, რომ მათ თავისის ხარჯით იკისრონ ზუგდიდსა და ფოთს შუა რკინის გზის ტოტის გაყვანა და აგრეთვე ამოაშრონ და გაასუფთაონ ტბა-ჭაობები.

⁂ 14 მაისს უკანასკნელი ვადაა იმათთვის, ვისაც ჰსურს წერილობით თანხმობა გამოაცხადოს ხმოსნობაზედ კენჭის ყრისა.

⁂ არჩევანი ხმოსნებისა, რომელიც დანიშნულია 18 ამა მაისს, მოხდება „ტფილისის საკრებულოს“ საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზედა, და დაიწყება დილის 8 საათზედ.

⁂ დიდი წვიმების გამო მტკვარმა 10 მაისიდგან საშინლად მომატება დაიწყო, ასე რომ მეორე დღეს, 11 მაისს, წყალმა ორს საჟენზედ მეტად აიწია. დესიმონოვის მოედანი ვიდრე ქალაქის სასწორამდე და ამ მოედანზე მდებარე სარდაფები და ეზოები წყლით გაიმსო. აგრეთვე წყალი გადავიდა მალაკანების ქუჩაზედ და ორთაჭალის ბაღებში. მტკვარს თან მოაქვს აუარებელი ხეები, ბოძები, ფიცრები და სხვა. წყლისაგან გადამრჩენელ საზოგადოებას საშიშ ადგილებში ნავები უყენია. რიყეზედ მოვაჭრეთ 11 მაისს, ღამე, საჩქაროდ გადაჰზიდეს თავიანთი ბარგი უფრო უშიშარ ადგილას. ძირითა სართულებში მცხოვრებნი ავიდნენ ზემოთ სართულებში.

⁂ ჩვენ ახალგაზდა მომღერალს ბ-ნს ი. კარგარეთელს განუზრახავს 21 ამა მაისს ტფილისში ქართული კონცერტი გამართოს.

⁂ ქუთაისის მცხოვრების ბაბუნაშვილის ცოლს სალომეს საოჯახო უთანხმოების გამო თავი მოუკლავს: გადაუსხამს ნავთი, ცეცხლი წაუკიდებია და ორის საათის შემდეგ გარდაცვლილა.

⁂ სენაკის მაზრის სოფელ სორტაში ბოქაულს ქავთარაძეს დაუჭერია ციმბირიდგან გამოქცეული, ცნობილი ყაჩაღი მხეიძე. უკანასკნელი შეტაკების დროს დაუჭრიათ.

⁂ 4 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია გასარჩევად საქმე ყარსის რკინის გზის იჯარადრის, ინჟინერის ეგნატი ბალინსკისა, რომელსაც 3 ნოემბერს 1896 წელს, ბორჩალოს მაზრაში, დღისით გზაზედ დასცემიან ბოროტ განმზრახველნი გასაძარცვავად და მოკვლა მოუნდომებიათ. დანაშაული ჰბრალდებათ: ქუთაისის გუბერნიის აზნაურს სპირიდონ იშხნელს, 34 წლისას და შულავრელს გლეხ კაცს ოვაკუმ ანტონოვს, 25 წლისას. ამ საქმისათვის დაბარებულია 66 კაცი.

⁂ 4 მაისს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქარხნის შენობაში, გზის უფროსის ვედენევის, სხვა მოხელეთა და აუარებელის მომუშავე ხალხის თანა-დასწრებით გადახდილი იქნა სადღესასწაულო წირვა. ქარხანა მშვენივრად იყო მორთული ბაირაღებით და ყვავილებით. წირვის შემდეგ ორი ათას კაცს იქვე ნაძალადევის ველზე დაურიგდა თითო ბოთლი ლუდი. როგორც დამსწრენი ამბობდნენ, წარსულ წლებში უფრო მხიარულად და კარგად გარდახდილა ეს დღესასწაული. იმართებოდა სადილი, უფასო ლატარია, წარმოდგენა და სხვა... წელს-კი ყველა ამას მოკლებულნი იყვნენ.

⁂ გუშინ, 11 მაისს, 293 ვერსზედ, არსენალსა და ნავთლუხის შუა, მიწის საზიდავის მატარებლის ქვეშ მოჰყვა ერთი ქიზიყელი მუშა, სოფ. ზემო-მაჩხაანში მცხოვრებელი გლეხი, სახელად ნოდარ გიორგის ძე ჯამასპიშვილი. უბედური გულის საკლავად ჰგმინავდა. აღმოჩნდა, რომ მატარებელს მოემტვრია მარცხენა ფეხი ორ ალაგას, მუხლის ქვევით. აღნიშნულის ჯამასპიშვილის უბედურების მიზეზი ყოფილა დაუდევრობა, მეტის-მეტად გულ-ცივი და შეუბრალებელი მოქცევა მუშების მიმართ მაშინისტისა, რომელსაც, შემდეგ ვაგონების დაცლისა, არ დაუცდია, რომ მუშები გადმოსულიყვნენ ძირს მატარებლიდგან, გაურეკნია იგი და პანტა-პუნტით გადმოუყრია მუშები. უბედური წაიღეს ამხანაგებმა რკინის გზის საავადმყოფოში, სადაც მაშინვე მოუჭრიათ მისთვის ფეხი, მუხლ ზევით. იგი ასაზრდოებდა თურმე თავისს შრომით დიდს ოჯახს: მამას 70 წ., მოხუცსავე დედას, ცოლს, სამს ქალს და ერთს პატარა ვაჟიშვილს. იმედია, რკინის გზის მთავრობა აღმოუჩენს საზრდოს როგორათაც დასახიჩრებულს, ისე კიდევ მისს დაობლებულს და უპატრონოდ დაშთენილს ოჯახს.

⁂ ქუთაისის გუბერნიის საზოგადო კრებამ ერთხმად მიიღო მოხსენება ცალკე კამისიისა შესახებ სასოფლო დაწესებულებათა შემოღებისა ქუთაისის გუბერნიაში. ამასთანავე კრებამ მიანდო თავად-აზნაურთა წარმომადგენელთ, რათა ამ უკანასკნელთ იშუამდგომლონ მთავრობის წინაში და თუ საჭირო იქნება ცალკე დეპუტაციაც გაგზავნონ საცა საჭიროა ხსენებული საქმის სისრულეში მოსაყვანად.
(ახალი მიმოხ.).

⁂ ქუთაისიდგან ატყობინებენ „ნოვ. ობოზ.“-ს, რომ იქ, 9 მაისს, მაზრის წინამძღოლების ამორჩევის დროს მოხდა შემდეგი ამბავი: ქუთაისის, ოზურგეთის და შორაპნის მაზრებისთვის წინანდელი მარშლები იქმნა ამორჩეული, ხოლო რაჭის წინამძღოლობაზე ორმა დაიდგა ყუთი: ს. გ. ჯაფარიძემ და თავ. წულუკიძემ. რაჭის წინანდელს წინამძღოლს, ჯაფარიძეს სამი კენჭით მეტი ამოუვიდა, ვიდრე თავ. წულუკიძეს, მაგრამ როდესაც ყველა კენჭები დათვალეს, აღმოჩნდა, რომ ოთხი კენჭი მეტი ყოფილა. აშკარაა ვიღაცას ერთი კენჭის მაგიერ მეტი ჩაუყრია. ამის შემდეგ ჯაფარიძე სახლში წავიდა, კრება-კი საშინლად ააღელვა ასეთმა მოტყუებამ და თხოულობდა ახალი არჩევანები მომხდარიყო. თავმჯდომარემ მოიწადინა ახალი არჩევნების მოხდენა, მაგრამ ამომრჩეველთა სია არსად აღმოჩნდა. რაჭის ამომრჩეველთა კერძო კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სია ჯაფარიძემ გამომართვა და თან წაიღოო. შემდეგ ჯაფარიძესთან კაცი გაგზავნეს, რომელმაც შემოუთვალა კრებას, სია მე არა მაქვსო და საერთოდ არ მესმის რა უნდა კრებას ჩემგანაო. კრების ზოგიერთა წევრებმა უკმაყოფილება განაცხადეს და თხოულობდნენ ჯაფარიძე მოსულიყო და აეხსნა ყოველივე. ხელ-ახლა აფრინეს ჯაფარიძესთან კაცი, მაგრამ ის მაინც არ დაბრუნდა, მხოლოდ კაცის პირით შემოუთვალა შემდეგი: მე ამირჩიეს წინამძღოლად ჴ არ ვიცი რაღა უნდა ჩემგან კრებას, ამასთანავე ავათა ვარ და ლოგინში ვწევაროო. ამ რიგად არჩევანები გადაიდო, ხოლო კრება დიდად ნაწყენი დაიშალა.

⁂ სოფ. ცერონისი (გორის მაზრა). ქურდებისაგან მოსვენება აღარა გვაქვს. ჯერ იყო და კვერცხი და ქათამი აღარ შეგვარჩინეს; სადაც მოახელეს მოუპარავი არ დასტოვეს. ეხლა ამასაც აღარა სჯერდებიან და სხვა უფრო საკბილოს მიჰყვეს ხელი. ერთ საწყალს გლეხს რვა კოკა ღვინის მეტი არა გააჩნდა-რა, თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და შავი დღისათვის ინახავდა, მაგრამ პატრონის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს მოჰხადა ქვევრს და ერთი წვეთი ღვინოც არ დახვდა შიგ: ისე ამოეწურათ, რომ პატრონს ვერაფერი შეუტყვია. ასეთი ამბები ჩვენში ხშირია. არც საკვირველია! აქაურები მთელს დღეს ზურნასა ჴ დოლზედ ქეიფში ატარებენ და როცა თავიანთ სარჩო-საბადებელი შემოაკლდებათ, სხვისას მიჰყოფენ ხოლმე ხელს.

⁂ სად. შუტა: 11 მაისს საქონლის მატარებელი, რომელსაც 45

დატვირთული ვაგონი მიჰქონდა თავდაღმართში, შუაზედ გაწყდა და 25 ვაგონი უკან ჩამორჩა მატარებელს, მერე ერთბაშად დაეშვა თავ-დაღმართზე და დაეჯახა წინ წასულ მონაწყვეტ მატარებელს. კონდუქტორები გადარჩნენ, ათი ვაგონი დაიმტვრა.

---

### მწყემსთ-მთავრის ალექსანდრეს 35 წლის ეპისკოპოსად კურთხევის იუბილეი.

ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე 9 მაისს წმ. შიო მღვიმელის განსვენების დღეს, მწირველი ბრძანდებოდა შიო მღვიმის მონასტრის ეკკლესიაში. აქ იყვნენ მცხეთის იგუმენია მონოზნებითურთ, სასულიერო პირნი და ერის კაცნი, მასწავლებელნი—ქალნი და კაცნი, წარმომადგენელნი მწერლობისა, დეპუტაციები სხვა-და-სხვა საზოგადოებისა და მრავალნი სხვა ქართველნი. შემდეგ წირვისა და პარაკლისისა მღვდელ-მოძღვარმა ყველა მლოცველნი მოიწვია სტრაპეზო ოთახში, სადაც სუფრა იყო გაშლილი. აქ სტუმრებმა მიულოცეს მის მეუფებას ოც-და-თხუთმეტის წლის იუბილეი და ისურვეს კვალად დიდის ხნის სიცოცხლე ყოვლად-უსამღვდელოესისა საქართველოს სასარგებლოდ და სასიქადულოდ. სხვათა შორის ტფილისიდგან მიულოცა მის მეუფებას ბ-ნ შიო დავითიშვილმა თავის მხრივ და გაზ. ,,კავკაზის‘‘ რედაქტორის ბ-ნ ველიჩკოს სახელით. ბ-ნმა ექ. ხელაძემ პატივცემულს იუბილიარს მიართვა ადრესი და აღუთქვა მის მეუფებას 25 მანეთი საეკლესიო გალობის აღდგენისათვის. ბოლოს წარუდგა მის მეუფებას მღვდ. ალ. ჯალიაშვილი, რომელმაც გორის მაზრის სამღვდელოების სახელით გამოუცხადა გულითადი თანაგრძნობა და პატივისცემა. მანვე გარდასცა მის მეუფებას და წაკითხულ იქმნა დეპეშა ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილისა, რომელიც თავისისა და სკოლის სახელით ულოცავდა ეკკლესიისა და თავის ქვეყნის სასარგებლოდ განვლილს წლებს. წაიკითხეს ადრესები და ამ დღის ქართული გაზეთები, აგრეთვე ,,კავკაზიც‘‘, რომლებმაც ძლიერ ასიამოვნეს ჩვენი მხცოვანი მღვდელმთავარი.

მისმა მეუფებამ წარმოსთქვა თვისი სურვილი კვალად შრომისა თავისს ეკკლესიისა და ერის სასარგებლოდ და შემდეგი ახალი აღთქმა დასდო, თუ ღმერთი ხელს მომიმართავსო: 1) დაეხმაროს ქართულ გალობას და მგალობელთა გუნდის დაარსებას; 2) შეაგროვოს ძველი ხელთ-ნაწერები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ საქართველოს წარსულის შესასწავლად, და დააარსოს წიგნთ-საცავი ან შიო-მღვიმის მონასტერში, ან ტფილისს ანუ სხვა ადგილს, რომელიც უფრო მოსახერხებლად იქმნება ცნობილი; თუ რომ შესანიშნავ ხელთ-ნაწერებს უფასოდ არ დაუთმობენ პატრონები წიგნთ-საცავს, მაშინ მისი მეუფება სასყიდლსაც გაიღებს; 3) განაახლოს არჩილ ლუარსაბის ეკკლესია თიანეთის მაზრაში, თუმცა ეს საქმე მის მეუფებას სათქმელადაც-კი მეტად ეძნელება.

ტრაპეზობის დროს ბერ-მონოზნები საამურად გალობდნენ. ხალხი საღამომდე არ დაიშალა, და ზოგნიკი, ქალებიცა და კაცებიც, ღამე მონასტერში დარჩნენ.

10 მაისს, ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე ტფილისს ჩამობრძანდა.

---

### სადეზინფექციო სადგურის კურთხევა.

კვირას, 11 მაისს, აკურთხეს ტფილისის ქალაქის სადეზინფექციო სადგური, რომელიც გამართულია ალექსანდრეს ქუჩაზედ, დამოჯნის პირდაპირ. სადგური აკურთხა მღვდელმა მ. ჯავაშვილმა მთავარ-დიაკვანის კარგარეთელის თანადახმარებით. კურთხევის დროს ჰგალობდა ყაზახთა ხორო. პარაკლისს დაესწრენ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ივანენკო, ქალაქის გამგეობის წევრნი, გუბერნიის ექიმი ბ-ნი ქიქოძე, მისი თანაშემწე, რამდენიმე ხმოსანი და სხვანი მრავალნი. ბევრნი იყვნენ კერძო ექიმნიც.

კურთხევის შემდეგ ბ.ნმა ა. ა. ივანენკომ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა ისტორია სადეზინფექციო სადგურის დაარსებისა, მისი მნიშვნელობა და აგრეთვე მადლობა გარდაუხადა ყველა იმათ, რომელთაც ამ საქმეში მონაწილეობა მიეღოთ.

დასასრულ ექიმმა დეზინფექტორმა ბ-ნმა რაზამატმა აუხსნა იქ შეკრებილთა, რაოდენი ზარალი მოაქვს გადამდებ სნეულებათა და ამ ავადმყოფობასთან საბრძოლველად რა დიდად ხელს უწყობს ადამიანს სადეზინფექციო კამერა და შემდეგ აჩვენა, როგორ უკეთებენ დეზინფექციას, დაწვრილებით ახსნა და განმარტა სადეზინფექციო მანქანის ყოველივე ნაწილი.

ეს მანქანა საკმაოდ მოზრდილია, ისეთი, როგორიც რუსეთის დიდს ქალაქებშია გამართული. დეზინფექციას უშვრებიან ორთქლის შემწეობით. 100 გრადუსი სიცხე უნდა იყოს, რომ გადამდებ სნეულებათა მიკრობები დაიხოცნენო. საცდელად მანქანის პაწია ვაგონში შეალაგეს ტანისამოსი და მოუშვეს ორთქლი. მანქანას გარედგან მაჩვენებელი აქვს იმისი, თუ როდის იქნება ვაგონში 100 გრად., მაგრამ რადგან შეიძლება ნაალებს, ბოხჩებსა და სხვა ამ გვარად გაუკეთონ დეზინფექცია, და თუმცა ვაგონში 100 გრად. იყოს, მაგრამ შიგ მატყლში და ბოხჩის შუაგულს ამოდენა სიცხეს არ ჩაეტანოს, ამისათვის მანქანა ისეა მოწყობილი, რომ ჩააწევს თუ არა სიცხე ამ გრადუსისა შუაგულს, ელექტრონის ზარი იწყებს წკარუნს და ამითი ატყობინებს მედეზინფექციეთ.

დეზინფექციას სულ ერთი საათი სჭირდება და დეზინფექციის შემდეგ ტანისამოსი და ნივთები სრულიად მშრალი გამოდის. იქვეა მომართული მეორე მანქანაც, რომელიც ბეწვეულსა და ტყავეულს დეზინფექციას გაზების შემწეობით უშვრება, რადგან ამ ნივთეულობას ორთქლი სრულიად აფუჭებს და პირველი მანქანა იმათთვის არ გამოდგება.

იქვე საბანებელია იმათთვის, ვინც გადამდებ სნეულებიან ავადმყოფთან იქნება და სახლში მისვლის შიში ექნება. იმას შეუძლიან იქვე გაიბანოს ტანისამოსი. სადეზინფექციო მანქანაში უვნებელ ჰყავს იგი ბაცილებისაგან, ამ დროს კი თვითონ იბანოს, მერე უვნებლად ქმნილი ტანისამოსი ჩაიცვას და გამოვიდეს.

სადეზინფექციო სადგური ქალაქის მიწაზედ არის აშენებული და კარგა დიდ-ძალი ფული დაუჯდა ჩვენის ქალაქის თვით მმართველობას. ყველა იქ დამსწრენი დიდად ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ სახლში.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**Დ. ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** ჩვენს დაბაში, როგორც ყველა მივარდნილსა და ყველასგან მოძულებულს ადგილს, ბევრი უწეს-რიგობა სჭირს. დავასახელებთ რამდენსამე მათგანს, უფრო იმისთანას, რომელიც ყველას თვალში ეჩხირება.

ზუგდიდში შესავალ უმთავრესს ქუჩას აქეთ-იქით მისდევს კიდევ საცალფეხო გზა, რომლის სიგანე თითქმის ექვსი არშინია. ამ ბოლო დრომდის ამ ტუშის გზის სიგანე ყველგან ერთი და იგივე იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს, როდესაც მიწის გამოზოგიერთებმა ძალიან გაიგეს და ამის გამო დიდი მადაც გაეხსნათ, მომატებული გზა იგანივრეს და თავიანთი დობეები გარეთ გამოსწიეს, ამ მიზეზით ეს, ოდესღაც საუცხოვო და ლარივით სწორე ქუჩა, კბილებ ჩამტვრეულ ბებერს დაამგზავსეს.

ქალაქის ბატონ-პატრონებს თუ ძალიან ეგანივრებათ ეს გზა, მაშინ უფრო უპრიანი იქნება საქვეყნოდ გამოაცხადონ, რომ ყველას შეეძლოს თავისკენ მიიგდოს ორი არშინი მიწა და ქუჩასაც კბილები ამოუსწორონ, ხოლო თუ ზოგიერთის მადა გახსნილი კაჟებატონების მოქმედება უკანონოა, მაშინ სასურველია, რომ ამათს თვითნებობას მალე აგრას ლაგამი სხვების გასაფრთხილებლად და წესიერების დასაცველად.

მგონი ჩვენს ინტელიგენციას არ ედროვება „კანტაობას“ ხანდახან მაინც არის თავი დაასწიოს და დეპუტატების ანაზარა მიგდებულს დაბას ყურადღება მიაქციოს; დროა შეიგნონ, რომ ,,მელემის‘‘ აღებაზედ არა ნაკლები სასიამოვნო იქნება, თუ იმათის დახმარებით სიმართლე გაიმარჯვებს, დაჩაგრული წელში გასწორდება და სხ.

მდ. ჩხოუშს, რომელიც ზუგდიდს გვერდით ჩამოუდის, როგორც იქნა, ედირსა ხიდი. მაგრამ კაი ამისთანა ხიდობას... შუა მდინარეში ისე სდგას, რომ ვერც ერთის მხრიდგან და ვერც მეორისაგან ჩიტი ვერ შეფრინდება. გამჭრიახს გონებას ცალის მხრიდგან ხეები მიუყუდებია, ასე რომ კაცი ადვილად ავა ზედ, მაგრამ მეორე მხარეზედ არაფერი არა აქვს რა მიუყუდებული. ამ წინაზედ ღამე ასულიყო მთვრალი კაცი ხიდ ზედ, იქიდგან გადავარდნილიყო და დაემტვრია თავ-პირი (ზოგიერთები ამბობენ, მოკვდა კიდეცაო). სასურველია რომ მალე დამთავრდეს ეს ხიდი.

რადგანაც ხიდზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, არ შეიძლება არა ვსთქვათ, რომ ზუგდიდიდგან სენაკში მიმავალს გზაზედ ხიდის უქონლობა მდინარე ჯუმიზედ დიდად შემაწუხარია მგზავრისთვის; გარდა ამისა, ეხლა, როდესაც მდინარე არ არის ადიდებული, დილიჟანი ადვილად გადის წყალში, მაგრამ მდინარის ადიდების დროს-კი თითქმის სულ შეუძლებელი თუ არა, ძალიან გასაჭირი ხომ იქნება და იქნება- იმედი გვაქვს, ჩვენის მაზრის უფროსი, რომელსაც ხიდისათვის ასე შესტკივა გული, ყურადღებას მიაქცევს ჩვენს გაჭირვებას და, რამდენადაც შესაძლებელია, ადრე თუ მალე უშველის.

X—ი.

---

### წერილი ქუთაისიდგან

7 მაისს საქალაქო თეატრში ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება მოხდა. იმ დღეს კრების წევრთა დაფიცების მეტი ვერა მოასწრეს-რა. მეორე დღეს, 8 მაისს, 11 საათზე, გუბერნიის მარშალმა თავ. ს. გ. წერეთელმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა კრებას:

,,ბატონებო! წარსულ წელს, როცა მოსკოვიდგან დავბრუნდი, მე ბედნიერ ვიყავ თქვენთვის შემომეთვალა უმოწყალესი სიტყვები, რომელთა თქვენთვის გადმოცემა კეთილ ინება და მიბრძანა მისმა უდიდებულესობამ, ჩვენმა ხელმწიფე იმპერატორმა, წმიდა დაგვირგვინების დღესასწაულის დროს. ერთი ორად ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს დღეს, რომ შეძლება მაქვს, პირის-პირ გადმოგცეთ თქვენ ყოვლად მოწყალე სიტყვები მისის უდიდებულესობისა.

წმიდა დაგვირგვინების მისალოცად რომ წარვსდექით ხელმწიფე იმპერატორის წინაშე და საქართველოს წმიდანებისა —დავითის და კონსტანტინეს ხატი მივართვით, ხელმწიფე მოწიწებით ემთხვია ხატს და მიმრძანა გარდმომეცა თქვენთვის მისი გულწრფელი და გრძნობით აღსავსე მადლობა მილოცვისათვის. ეს ყოვლადმოწყალე სიტყვები იმის ნამდვილი მომასწავებელია, რომ მისი უდიდებულესობა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მოწყალების თვალით უცქერის. ბატონებო, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყოვლად მოწყალე სიტყვები სამუდამოდ აღიბეჭდება თქვენს გულში‘‘.

ამ სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზედ.

შემდეგ ბ ნმა მარშალმა განაგრძო: წარსული წლის 17 დეკემბერს, საგანგებო კრების დროს, მე შემთხვევა მქონდა, სატახტო ქალაქების ზოგიერთა გაზეთში დაბეჭდილ წერილებისა გამო ლაპარაკი ჩამომეგდო თქვენთვის. როგორც თქვენც გეხსომებათ, ის წერილები უდიერად იხსენიებდა ჩვენი ქვეყნის მკვიდრთ საერთოდ და კერძოდ ჩვენს თავად-აზნაურობას. იმ წერილებმა სამართლიანად შეაძრწუნა ჩვენი თავად-აზნაურობა. მე მაშინვე ვეცადე დამერწმუნებიეთ თქვენ, რომ იგი წერილები სრულებითაც არ იყო გამომხატველი უმაღლესის მთავრობისა და არც რუსეთის საზოგადოების შეხედულებისა. მე მაშინვე გეუბნებოდი თქვენ, რომ სატახტო ქალაქების იმ გაზეთების ხელმძღვანელებმა, რომლებშიდაც ჩვენ წინააღმდეგ წერილები იბეჭდება, ნამდვილად რომ იცოდნენ თავიანთ კავკასიელ კორესპოდენტების დედა აზრი, რისთვისაც ისინი ამგვარს წერილებს სწერენ, მაშინვე სამუდამოდ ზურგს შეაქცევდნენ ამ უკანასკნელთ მეთქი. მართლაც აგრე მოხდა. მას შემდეგ, რაც ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ კავკასიის კორესპოდენტები ნამდვილს ამბავს როდი სწერენ, ისე როდი იქცევიან, როგორც ნამდვილს მამულის შვილს შეჰფერის, არამედ კერძო და პირადი ანგარიში ამოქმედებს მათ, იმ გვარი წერილები, რომელნიც ასეთის საეჭვო წყაროებიდგან მომდინარეობდა, მეტი აღარსად არ იბეჭდება. პირ-იქით, იმავე გაზეთებში ჩვენი თანამგრძნობი წერილები იბეჭდება ახლა, რომლებშიაც ღირსეულად არის დაფასებული ჩვენი წარსული და აწმყო. ამას გარდა მათის უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევის დღესასწაულის დროს მე შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავ, რომ როგორც მთავრობა, ისე რუსეთის საზოგადოებაც სხვაფრივ არ გვიყურებენ ჩვენ, თუ არ სიყვარულითა და ნდობით“.

შემდეგ კრებამ მოისმინა სამი მოხსენება და მათი განხორციელება თითქმის ერთხმად საჭიროდ სცნო:

1) 1890 წ. 17 აპრილის კანონის შევსების შესახებ, რომლითაც სამეგრელოს თავადნი და აზნაურნი ხელმძღვანელობენ თავის წოდებრივის უფლების დასამტკიცებლად; 2) ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ; და 3) ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის კრების ცვლილებათა შემოღების დაჩქარების შესახებ.

---

### პატარა საუბარი

ჩვენს წერილებს, რომლებშიაც შაუმოვის „სელდების‘ ამბავი იყო მოთხრობილი, პასუხი აღირსეს. ეს პასუხი დაბეჭდილია გაზ. „Нов. Обоз.-“ს წარსულ კვირის ფელეტონად. არ გეგონოთ, რომ იგი ან სტეფანიანცს ეკუთვნოდეს და ან გონიანცს, ესე იგი იმათ, რომელნიც ჩვენს წერილში იყვნენ ხსენებულნი. არა, იმათი ვექილობა თვით გაზეთმა „Нов. Обоз.“-მ იკისრა და მერე როგორ ვექილობს, გააოცებს ადამიანს ამ გაზეთის შეურყეველი ლოგიკა.

ბ-ნი ვექილი ჯერ კითხულობს: „въ чемъ-же заключаются открытыя газетой злоупотребленія“? და თვითვე ასახელებს ამ ბოროტმოქმედებას, ვითომ-და ჩვენის გაზეთის მიერ აღმოჩენილს. პირველს ბრალს იმასა სდებს „ივერია“ ექიმს გონიანცს, რომ

„დაავიწყდა თევზების გასინჯვის დროს თან წაეყვანა ისეთი შესანიშნავი მცოდნე და თანა ამხანაგი, როგორიც ბოქაულია. ასეთ ლიბერალურ თავხედობისათვის ბ-ნი გონიევი, სულ ცოტა, ღირსი იყო დარჩობისა, მაგრამ გაზეთი (,,ივერია‘‘) არ ექცევა ძალიან სასტიკადაო‘‘...

,,მეორე ბრალს იმასა სდებს, რომ თუმცა აჩვენეს, არ გასინჯა შაუმოვის დუქანი. ამითი ხელ-მეორედ არ გაუგონა ბოქაულს. იქნება ასეთის არ გაგონებისათვის რაიმე კანონიერი საფუძველი ჰქონდა; იქნება სასანიტარო საბჭოს ბრძანების ძალით არ შეეძლო ბატონ ბოქაულის მინდობილება აღესრულებინა, რადგან ამ საწყობის გასინჯვისათვის მთელი კომისია იყო საჭირო და არა ერთი მკურნალიო. იქნება ბ-ნ გონიევს ბევრი სხვა მიზეზიცა (?) ჰქონდა, ხოლო რადგან ბ-ნმა ბოქაულმა უბრძანა, არ უნდა გაებედა და უნდა აესრულებინა ეს ბრძანებაო.‘‘

მერე მოჰყავს რა ჩვენ მიერ ყბად აღებული „კულტუროსანთა“ მკურნალის მიერ ნათქვამი, რომ ეგ დამპალი თევზი აქ, ტფილისში, გასას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიდად არ არის ჩამოტანილი, არამედ სხვა ქალაქისათვის არის და მე ვერ გავსინჯავო, განაგრძობს:

„მართლაც, საშინელებაა, ქალაქის საბჭოს მკურნალი რად უნდა ჰზრუნავდეს მარტო ტფილისისათვის და არა სრულად ამიერ-კავკასიისა, რუსეთისა, მთელის ქვეყნისათვის? ნუ იმართლებს თავს, რომ ყველას საზრუნავად დროს ვერ ვიპოვიო. რაკი ბ-ნი გონიევი ქალაქის საბჭოს მკურნალია, გენიოსიც უნდა იყოს ჲ გენიოსმა-კი ყველაფერი უნდა იცოდეს“

რაკი მთელი ჩვენი წერილი ასე სასაცილოდ აიგდო, ბოლოში გამარჯვებით დასძენს:

„წავიკითხე ,,ივერიის“ წერილი და დავრწმუნდი, რომ ჩვენს გამგეობას ტყუილად ერჩიან და უხირდებიან—къ ней придираются по пустякамъ‘‘-ო.

ასე დაგვცინის გაზ. „Нов. Обоз.“, მაგრამ აბა ამ სიცილს კრიჭაში ჩაუდექით, აბა ამ თავ-აგდებულს კუნტრუშს სახტომი გაუსინჯეთ და კიჭებშივე შეატყობთ, რომ ეს სიცილი ნაძალადევი, ნასესხი და უილაჯობის სიცილია! ის სიცილია, რომელშიაც გარკვევით და მკაფიოდ გამოისმის: ვტყუი, მაგრამ ვიცინი, რომ სიცილით „კულტუროსანთა‘‘ უკულმართი და სავაგლახო საქმე ჩავაფუჩეჩოო.

ამ საექილო სიტყვიდგანა სჩანს, რომ დიდი არაფერია, თუ გონიანცს ბოქაული არ წაუყვანია თან, იქნება საწყობის გასასინჯად მთელი კომისია იყო საჭიროო, იქნება არ ეცალა, იქნება რაიმე კანონიერი საფუძველი ჰქონდა და ბევრიც სხვა მიზეზიო. რა სჯობია ამ „იქნება“-ს! მოგეხსენებათ, ,,იქნება‘‘ ისეთი მაფრაშაა, რომელშიაც რაც უნდა, იმას ჩაალაგებს ადამიანი. თუ კანონიერი საფუძველი და მიზეზი ჰქონდა, რატომ არ გამოაცხადა, თუ ეგ მიზეზი ის მიზეზი არ არის, რომლის გამოც დოს მარილი აკლია ხოლმე? თუ მართლა მთელი კომისია იყო საჭირო, თითონ რაღას გარბოდა ქარვასლაში მარტო?

ან-კი რად იკადრებდა კულტუროსანთა მკურნალი ბოქაულს ჰხლებოდა? ეს ხომ თავის დამცირება იქნებოდა „კულტუროსანთა“ მკურნალისათვის! ისიც შაბაშ, რომ მარტო თითონ წავიდა და მერე შეიარა ბოქაულთან, ვითომ დაამშვიდა, ვიყავი ქარვასლაში და ის თევზები თურმე ტფილისის გარეთ, სხვა ქალაქისათვის ყოფილაო! ბოქაული რომ „კულტუროსანი“ ყოფილიყო, ასეთის საბუთის შემდეგ, რასაკვირველია, მაშინვე დაიმშვიდებდა გულს და ამ საქმეს თავს მიანებებდა.

„გენიოსი ხომ არ არის, რომ ყველაფერი იცოდეს და ყველაფერსა სდიოსო? ან რა საკვირველია, რომ ქალაქის მკურნალმა მარტო ის სურსათი გასინჯოს, რომელიც ტფილისში იყიდება და სხვა ქალაქებში წასაღებ სურსათის გასინჯვისათვის თავი არ შეიტკიოსო!“ ასე გეგონებათ, „ივერია‘‘ იმას აუხირდა გონიანცს, რატომ ვარსკვლავთ-მრიცხველობა არ იციო! ,,კულტუროსანთა‘‘ მკურნალს უჩვენებენ, აი ამა და ამაში წამხდარი, დამპალი თევზიაო, ის თავიდგან ირიდებს ამ საქმეს,—ტფილისისათვის არა ყოფილა, სხვაგან წასაღებიაო, და „Нов. Обоз.“-ც კვერს უკრავს, გენიოსი ხომ არ არის, რომ ყველას გასწვდესო! ოღონდაც, რომ შესაბრალისია ბ-ნი გონიანცი ,,ივერიის‘‘ ხელში! მისდგომია ,,ივერია‘‘ და აჰხირებია, გინდა თუ არა გენიოსი იყავი და ეს გენიოსობა იმითი გამოიჩინე, რომ როდესაც გითხრან სახელდობრივ, ამა და ამა ალაგას დამპალი თევზია და უნდა გაისინჯოსო, გასინჯეო! რად გასინჯოსო, როცა სხვა ქალაქებისათვის ყოფილაო!..

აბა დაუკრეფავში გადატოპვაც ამასა ჰქვიან, აი! მაშასადამე, ამას იქით რომელმამე „კულტუროსანმა“ ყალბი ფული რომ მოიტანოს და პოლიცია ზედ წააწყდეს, ხმას, კრინტს ვერ დასძრავს ტფილისის ბოქაული, თუ „კულტუროსანმა“ ასე იმართლა თავი: ,,მოითმინე, ბ-ნო ბოქაულო, ეს ფული შეიძლება ყალბი იყოს, მაგრამ ქალაქში ხომ არ ვასაღებ ამ ყალბს ფულს, სიღნაღში უნდა წავიღოო და შენ, ტფილისის ბოქაულს, აქ რა დავა და საქმე გაქვს, შენ სიღნაღის ბოქაული ხომ არა ხარო!“ მართლაც-და, ან რა დავა აქვს ტფილისის ბოქაულს სიღნაღში წასაღებ ყალბ ფულთან! ბოქაულმა რომ ასეთი ფული დაიჭიროს მარტო იმიტომ, რომ იგი ყალბია და, სულ ერთია, სიღნაღში წაიღებთ, თუ აქვე გაასაღებთ, ქვეყნის, ხალხის სასიკეთოდ არ მოგიტანიათო, მავნებელია, უკანონობაა მაგისთანა ფულის ხმარებაო, „Нов. Обоз.“-ე, რასაკვირველია, დასცინებს ასეთს ბოქაულს, что онъ ,,придирается по пустякамъ“-ო! იტყვის: რას ერევა იმისთანა საქმეში, რაც იმას არ ეკითხებაო!

აი ,,კულტუროსანთა‘‘ მოძღვრება თურმე რა ყოფილა! ეხლა კი უნდა გულ-ახდით აღვიაროთ, რომ ასეთს ,,კულტურას‘‘, ასეთს განათლებას მართლა რომ შორს ჩამოვრჩენილვართ და არც ამას იქით ვეცდებით იმის მიწევასა და მიღწევას. დაგვილოცნია იგი გაზ. ,,Нов. Обоз.“-სა და სხვა ,,კულტუროსანთათვის‘‘, ღმერთმა შეარგოთ! ასეთს ვექილს რუსები ეტყვიან ხოლმე,—,,запартовался‘‘-ო, რაც დავთრების არევასა და დაბნევას უდრის!..

იკითხავთ: იმისი რაღა სთქვა „Нов. Обоз.“-მ, რომ „კულტუროსანთა“ მკურნალებმა სიწამხდრე თევზისა ვერ შენიშნეს მაშინ, როდესაც მკურნალმა ქიქოძემ, მკურნალმა რუტკოვსკიმ ჲ, მკურნალებს ვინა სჩივის, არა ექიმმა, ბოქაულმა სიტოვსკიმ და სხვათაც—მუშებმა ისე ადვილად შეამჩნიესო? ამ გარემოებას რაღა ხრიკი მოსდო ,,Нов. Обоз.‘‘-მ, ეს თქვენ მიერ საკიჟინებლად და სამარცხვინოდ დანახული როგორ-ღა გაასასაცილოვაო? ,,ივერია‘‘ ხომ, სხვათა შორის, უმთავრესად ამ გარემოებისაკენ იშვერდა თითს და ამ გაშვერილ თითისაკენ ,,Нов. Обоз.‘‘-მ რაღა დაინახაო?

არაფერი დაუნახავს რა. „Нов. Обоз.“-ეს აქ-კი შეუმოკლდა თვალთა ხედვის ისარი, ვერც სიცილი მისი გასწვდა ამ ჩვენ მიერ ყბად აღებულს საქციელს ,,კულტუროსანთა‘‘ მკურნალებისას და მისდა ჩასაფუჩეჩებლად ახლა სხვა ვექილური ხრიკი იხმარა: იგა სულ არ ახსენა, სიჩუმის ბნელში გაჰხვია და ისე გაატარა, ვითომ ,,ივერია‘‘ მარტო იმას უკიჟინებს გონიანცსა, რომ უბოქაულოდ წავიდა თევზების გასასინჯად და სთქვა, რომ ქალაქისათვის არ არის და იმიტომ მე რა მგამა, სადაც უნდათ, იქ წაიღონო; თითქოს ,,ივერია‘‘ მარტო ამ ორს „ბრალსა“ სდებდა ,,კულტუროსანთა‘‘ მკურნალებს და არა უმთავრესად იმას, რომ ნათლად დასანახი ვერ დაინახეს, ავი კარგად მიიჩნიეს, გადასაყრელი, დამპალი, მყრალი, დასაწვავი თევზი მოსაწონად აღიარეს ამ მეცნიერებითა და ,,კულტურით‘‘ შეიარაღებულმა ქალაქის თვით-მართველობის ჩვენდა საკეთილდღეოდ მოვლენილმა სასიქადულო მოღვაწეებმა!

ეს-კი ვერაფერი ვექილობა მოუვიდა „Нов. Обоз.“-ეს! მე რომ იმის ადგილას ვყოფილიყავ, არც ამ გარემოებას დავტოვებდი უხსენებლად არც ამას გავუჩუმდებოდი, რა-კი სიცილია, რა არ შეიძლება გაასასაცილოოს კაცმა და ღრეჯა-კრეჭვით ჩააფუჩეჩოს!

თუნდა ეს ეთქვა: რა ვუყოთ, რომ სუნი ვერ აიღეს! ხომ შეიძლებოდა, რომ სურდო ჰქონოდათ და გრძნობა ყნოსვისა ამის გამო დაჰკარგოდათ... არა ეს არ ივარგებდა, რადგან არავინ დაუჯერებდა, რომ „კულტუროსანთა“ ყველა მკურნალები სწორედ მაშინ გაცივდნენ და ყველას ერთად დაემართათ სურდოო.

ყველაზედ უკეთესი იყო, გამოეცხადებინა, რო არც გონიანსა და არც სტეფანიანცს ყნოსვა არა აქვთო. რა არის, განა არ შეიძლება, რომ ადამიანს ყნოსვა არა ჰქონდეს და მკურნალი-კი იყოს! თუ იტყვით, თვალები სად-ღა ჰქონდათო, „Нов. Обоз“ ამასაც საბუთს მოუნახავს, ჯერ ერთი, სუნი ცხვირით აიღება და არა თვალით დაინახებაო, და, მეორე, თუნდა სიწამხდრე თევზისა თვალითაც სჩანდეს, შეიძლება არც თვალები ჰქონოდათ თანაო!

დიაღ, შეეძლო ასე გაემართლებინა „კულტუროსანთა“ მკურნალები ლეიბ-ორგანს გამგეობისას და ესეც გამართლება იქნებოდა, ესეც უძლეველი და შეურყეველი საბუთი იქნებოდა, რასაკვირველია, ამ გაზეთისებური-კი!.. აი, ასეთის იარაღით გამოდის ეს გაზეთი ვითომდა ჩვენ მიერ ტყუილად ყბად-აღებულ ,,კულტუროსანთა‘‘ მკურნალების საქომაგოდ და დასაცველად! აი, ამ საბუთებით გვიგდებს სასაცილოდ! ასე სცდილობს სიმართლისა და ჭეშმარიტების აღდგენასა და ვითომდა უდიერობის ალაგმვას! მოდი და ნუ იტყვი, რომ არა ბატონებო, ყნოსვა და თვალები-კი არ გაკლიათ, არამედ ის ერთი გრძნობა, რომელიც ყოველს ჭეშმარიტად განათლებულის აუცილებელი კუთვნილებაა, რომელიც ადამიანის გულშივე ამხელს ცუდს საქციელს, რომელიც დამნაშავეს, ბრალეულს ენას შეუბორკილებს ხოლმე და შერცხვენილს სახეზედ ხელებს ააფარებინებს!

მაშ დავუჯეროთ „Нов. Обоз.“-ს, რომ ტფილისიდგან დამპალის თევზის წაღება სხვა ქალაქებში საზრუნველი არ არის „კულტუროსანთა“ სასანიტარო მკურნალებისათვის და თუ საზრუნველია, გენიოსები ხომ არ არიან, რომ იმისათვისაც თავი იტკინონ, სხვაგან მოიწამლებიან თევზითა თუ არა, და არც იმისთანა დაბალის ხარისხისანი არიან, რომ იკადრონ და ვიღაც ბოქაულთან ერთად წავიდნენ სადმე ბოროტის აღმოსაჩენად? სასაცილო არ არის, მა რა ეშმაკია! თუ სასაცილოა, ეხლა იცინონ!..

ჩიორა

## სასულიერო ლიტერატურის შესახებ.

თითქმის ერთს და იმავე დღეს მივიღე უკანასკნელი ნომერი „მწყემსისა“ და გაზ. „ცნობის ფურცლისა“, სადაც აღძრულია საკითხავი, რა საშუალებით აღმაღლდეს მცხოვრებთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობა და გამოკვლეულ იქმნას საქართველოს საეკკლესიო ლიტერატურა. პირველი სურვილი, როგორ სჩანს „ცნობ. ფურცელში“ დაბეჭდილ ილ. ფერაძის წერილიდგან, ამ მოკლე ხანში იქნება მიღწეული იმ მხრივ მაინც, რომ არსდება „ძმობა სასულიერო განათლებისა“, რომელიც ამას გაიხდის თავისის მოღვაწეობის საგნად „ძმობას“, მნიშვნელობა ფრიად დიდია ყოველ დღიურს კაცის ცხოვრებაში, მისს ნაღვაწს ექმნება პრაქტიკული ხასიათი.

ავტორს „მწყემსში“ მოყვანილის „ღია წერილის კიევიდგან“ მ. ო. სასულიერო ლიტერატურის შესწავლა და გამოკვლევა სამეცნიერო ნიადაგზედ გადააქვს, თავისს სურვილს აძლევს უფრო განყენებულს, ვიდრე პრაქტიკულს ხასიათს. ავტორი ამბობს, რომ „ქართველნი, ღვთის მეტყველური სწავლით აღჭურვილნი, მოვალენი არიან მეცნიერულად იკვლიონ კითხვები საქართველოს საეკკლესიო ლიტერატურისა, აღადგინონ სღვთისმეტყველო მეცნიერება საქართველოში, დაანახვონ ქვეყანას, რომ არც ჩვენი წინაპარნი ჩამორჩენიან უკან ქვეყნიერობის წინ მსვლელობას, ყოფილან ქართველობის და ქრისტიანობის წინამბრძოლნი“.

ჩვენ ვეთანხმებით ამ სიტყვებს და სასურველად მიგვაჩნია გაქარწყლდეს ის ცრუ აზრი, ვითომ ძველი სასულიერო ლიტერატურა მხოლოდ მედავითნეებისთვის არის საყურადღებო და ღირსი შესწავლა-გამოკვლევისა. აწინდელი მეცნიერება ძველს სასულიერო ლიტერატურას სრულებით სხვა თვალთა ისარით აფასებს. სასულიერო მწერლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველს კლასსიკურ ნაწარმოებთან, იგი აღმოცენდა პლატონის, არისტოტელის, ციცერონის ფილოსოფიურ და ზნეობრივი ნაწერების გავლენით; თვით ბერძენ-რომაელ პოეტთა და ისტორიკოსთა ლიტერატურამ დაასვა ბეჭედი საშუალო საუკუნოების სასულიერო მწერლობას. აი ამიტომაც მეცნიერების შეხედვით სასულიერო მწერლობა ის საერო ჰკუის სალაროა, სადაც დაცულია დროთა მიხედვით გადაქმნილი ძველი მწერლობის შეხედულება ქვეყნის და კაცობრიობის მომდინარეობაზედ. აწმყოს კავშირი აქვს საშუალო საუკუნოების განვითარებასთან და ეს უკანასკნელი გადაბმულია კლასსიკურ მსოფლიოსთან. მეცნიერებას, რომელსაც აზრად აქვს შეისწავლოს თან და თანობითი განვითირება ყოველისავე საგნისა, ვერ აუქცევს გვერდს ამ ევოლიუციის, ცვლილების გასათვალისწინებლად, სასულიერო ლიტერატურის ბეჯითად შესწავლას, მისს შინაარსის შეგნებას. დასავლეთ ევროპასა და რუსეთში სასულიერო ლიტერატურის მკვლევარნი მიჩნეულნი არიან ღირს სახსოვარ მოღვაწედ საერთოდ მეცნიერებაში.

საქართველოს მიუღია ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში. მას შემდეგ გულს მოდგინედ უთარგმნიათ საუკეთესო ნაწერები წმიდათა მამათა, მათი ახსნა და განმარტება. ეს ძვირფასი განძი აკვირვებს მნახველს, როცა მხოლოდ თვალს მოჰკრავს იმ ურიცხვის დროს ნაღვაწს, რომელიც დაცულია ტფილისის სიონთან დაარსებულს საეკკლესიო მუზეუმში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში. ამ პატიოსანს ნიშანს ჩვენ წინაპართა შრომის და ცნობის მოყვარეობისას სჭირს მკვლევარნი და „ღია წერილის‘‘ ავტორთან ერთად ჩვენც ვისურვებთ, რომ უმაღლესი ღვთის მეტყველური სწავლით აღჭურვილნი შეუდგებოდნენ გამოცემას, ან დაახლოებითის შინაარსის გადმოცემას „სასულიერო ნაშთთა“ უუძველესს დროთა მაინც, IX—XII საუკუნოებისა. ამ შრომისათვისაც დაიმსახურებენ საზოგადოების და მეცნიერების გულითადს მადლობას.

ა. ხახანაშვილი

## ნარევი

—

გენერალ რიგარონესს ერთს ბრძოლაში ყუმბარამ ცალი ფეხი მოგლიჯა. მან ხის ფეხი გაიკეთა და შემდეგ ისე დადიოდა ხოლმე ომებში. ნერვინდენთან ატეხილს ბრძოლაში ამავე გენერალს ყუმბარა ამ ხის ფეხში მოხვდა და მოსწყვიტა.

— სულელები არიანო, სთქვა მან გულ-მშვიდად: ის-კი არ იციან, რომ მქვსი ამისთანა ფეხი მიწყვია ბანკში და ამითი ვერას დამაკლებენო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

პარიჟის თეატრის „Amqigu“-ს დირექტორმა განაცხადა, რომ პიერ დეკურსელის მელოდრამის „Les Deux gosses“ წარმოდგენაზედ 1,500 მუქთა ბილეთს დაურიგებს ობოლ ყმაწვილებს, რომლებიც ქალაქის ხარჯითა სწავლობენ. გარდა ამისა ყმაწვილებს დაურიგებენ ტკბილეულს და ლატარიის ბილეთებს. ამ გვარი განკარგულება სწორედ რომ საუკეთესო რეკლამა არის თეატრისათვის. („ნ. ვ“)

* *

გაზეთ „Jtalie“-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი. მელბორნში გარდაიცვალა ერთი ვაჭარი წიგნებისა, რომელსაც წინგების საქმის მეფეს ეძახდნენ. ახალგაზდობისას ეს კაცი ნოქრად იყო ერთს წიგნის მაღაზიაში. მაღაზიის პატრონს ჰყავდა ლამაზი, გასათხოვარი ქალი. ნოქარსა ჲ ქალს ერთმანერთი შეუყვარდათ და ცოლ-ქმრობის ნება-რთვა ითხოვეს. მაგრამ ეს სიცილად არ ყყო მაღაზიის პატრონს და ნოქარს უთხრა: „ღარიბი ხარ და იმიტომ არ მოგათხოვებ ქალსაო“.—რა მიშავს, მალე გავმდიდრდებიო, უპასუხა ნოქარმა.—როგორ გამდიდრდები.—თქვენ ვაჭარი კაცი ხართო, უპასუხა ნოქარმა, და თუ გინდათ, გამომცადეთ, მაქვს თუ არა საქმის ნიჭი და უნარი. მაშინ მაღაზიის პატრონმა უთხრა, თუ ეგრეა, აი ამ რომანისა 1,500 წიგნი მაქვს, რომელიც სრულებით არ იყიდება. აბა ეს მოახერხე და გაჰყიდე როგორმე. კარგიო, უპასუხა ნოქარმა. ორის კვირის შემდეგ ეს რომანი ერთი ცალი არ დარჩა მაღაზიაში, სულ გაიყიდა და კიდევ თხოულობდნენ. ნოქარს ქალი მიათხოვა წიგნის მაღაზიის პატრონმა და მხოლოდ მერე შეიტყო მიზეზი წიგნების გაყიდვისა. თურმე ნოქარს შემდეგი განცხადება დაუბეჭდია გაზეთებში. ,,ახალგაზდა და მდიდარ მემამულეს ჰსურს ცოლის შერთვა. არ დაეძებს არც ქალის სილამაზესა და არც სიმდიდრეს, საჭიროა

მხოლოდ ქალი საკმაოდ ნასწავლი იყოს. ვისაც ჩემი გაცნობა უნდა, გამოიაროს ამა და ამ ქუჩაზედ 3 საათიდგან 4 საათამდე და ხელში ეჭიროს წიგნი (სახელ-გაუყიდავის რომანისა). ამის შემდეგ ნოქარმა თითონ დაიწყო საკუთარ მაღაზიაში ვაჭრობა და ძლიერ გამდიდრდა.

* *

ლონდონში აშენებენ სარდაფს ფულის შესანახად. სარდაფში ჩასასვლელი კიბე სულ მარმარილოსი იქმნება თურმე. სარდაფში რამდენიმე ოთახი იქმნება. ოთახის კარებები ფოლადისაა და ისეა მომართული, რომ მხოლოდ დანიშნულ საათზედ გაიღება, სხვა დროს-კი იმისი გაღება ყოვლად შეუძლებელია და დინამიტს თუ ააფეთქებენ და ისე დაანგრევენ, თორემ სხვა არაფერი მოხერხდება. სარდაფში სდგას 5,000 რკინის ზანდუკი. თითო ზანდუკს ორი გასაღები აქვს, ერთი აბარია დარაჯსა და მეორე თვით ფულის პატრონს. ამ სარდაფში ძლიერ ბევრ მდიდარ კაცს მიაქვს ფული შესანახად, რადგანაც დარწმუნებულია, რომ არ დაიკარგება, ვერც ქურდი მოიპარავს და ვერც ცეცხლი მიეკარება.

## სასამართლოს მატიანე

ტფილისის ოლქის სასამართლომ 8 მაისს სამსახურს გარეშე მყოფ თავ. გურამიშვილის საქმე განიხილა, რომელსაც შემდეგი დანაშაული ჰბრალდებოდა.

წარსულის წლის 30 ნოემბერს, ტფილისს, პანასევიჩის ქუჩაზე, იგი (თ. გურამიშვილი) თავისს გერს ნაზაროვს წასჩხუბებია. ჩხუბში გურამიშვილის ნათესავი, მოხუცი ეკატერინე ბრუევიჩი, ჩარეულა იმ განზრახვით, რომ მოჩხუბარნი დააშოშმინოს. თავადმა გურამიშვილმა ბრუევიჩს მუშტი დაჰკრა თურმე, რის გამოც ეს უკანასკნელი ძირს დაეცა. შემდეგ იმისი აყენება მოიწადინა, მაგრამ, რადგან ცოტაოდნად ნაღვინევი იყო, უცაბედად ბრუევიჩს ფეხი დაადგა, რის გამოც ამ უკანასკნელს გული წაუვიდა და შემდეგ სულიც განუტევა. ექიმის შემოწმებამ აღმოაჩინა, რომ ბრუევიჩს ფერდის ორი ძვალი ჰქონდა გატეხილი, მაგრამ ამის გამო-კი არ მომკვდარა იგი, არამედ ტვინის შერყევით, რომელიც ჯერ იმას გამოუწვევია, რომ გურამიშვილს სახეში დაურტყავს და მერე ამ დარტყმის გამო ძირს დაცემასაო.

ოლქის სასამართლომ თავ. გურამიშვილს სამის კვირით საპატიმრო მიუსაჯა და საეკკლესიო მონანიება ამ ცოდვისა.

## ახალი წიგნები.

ბ-ნ ივანე როსტომაშვილს აზრადა აქვს გამოსცეს რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი. როგორც განცხადებიდანა სჩანს, ბ-ნი როსტომაშვილი უკვე შესდგომია ლექსიკონის გამოცემას და პირველი წიგნი ამ წლის შემოდგომაზედ იქმნება მზად. ლექსიკონში სიტყვები აღნუსხული იქმნება რუსულად, ხოლო განმარტება—ქართულად. გამომცემელი გვპირდება, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა და სრულად და სავსებით განმარტებული იქმნება ჩვენის ქვეყნის შესახებ ცნობები. ამასთანავე ლექსიკონში იქმნება შეტანილი ყველა ის სიტყვა რომელიც-კი აქამომდე გამოსულ ლექსიკონში ყოფილა. ბოლოში დამატებული ექმნება აღსნა ყველა სიტყვებისა.

ეჭვი არ არის, ასეთი ენციკლოპედიური ლექსიკონი დიდ საჭიროებას შეადგენს ჩვენის მწერლობისათვის და თვალ-საჩინო სამსახურს გაუწევს როგორც მწერალს, აგრეთვე ყველას, ვისაც ანბანი უსწავლია და ცოტად თუ ბევრად კითხვა იცის. მაგრამ რამდენადაც საჭიროა ასეთი ლექსიკონი ჩვენის ლიტერატურისათვის, იმდენად მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმის შედგენას, იმდენად უფრო სავსებითა და უნაკლულოდ უნდა იყოს იგი შედგენილი. ეჭვი არ არის, რომ ბ-ნი როსტომაშვილი შრომას არ დაიშურებს და ყოველს ღონეს იხმარს სრული ლექსიკონი მიაწოდოს ქართველ საზოგადოებას. ასეთის ვრცელის ლექსიკონის შედგენა და გამოცემა მეტად ძნელი საქმეა და მძიმე და დიდის ხნის შრომას თხოულობს. ამიტომ უფრო კარგი იქნება, რომ ბ-ნმა როსტომაშვილმა მოიწვიოს ჩვენის ქვეყნის კარგად მცოდნენი და იმათის დახმარებით შეადგინოს ხსენებული ლექსიკონი. ლექსიკონი გამოვა ნაწილ-ნაწილ და ხელის მოწერით. ორ-ორი წიგნი ეღირება 5 მანეთი. თითო წიგნი ჩუბინაშვილის ლექსიკონის ოდენა იქნება.

— ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ კ. ს. მესხის მიერ გამოცემული ნოტები— რომანსები „შევიშრობ ცრემლსა“, და „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“. მუსიკა დაწერილია ბ-ნ თ. კარგარეთელის მიერ, ხოლო რომანსის სიტყვები ქართულიდგან ბ-ნს გვაზავას გადუთარგმნია რუსულად და იგი რუსულს ენაზედ არის დაბეჭდილი ნოტებში. ორივე რომანსი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული და თითოეული ჰღირს 25 კაპ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მაისი

**პეტერბურგი.** ვარშავის უნივერსიტეტის რექტორი კოვალევსკი თავისისავე თხოვნისამებრ დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან.

**პარიზი.** „Matin“-ის სიტყვით, ოსმალის ჰერცოგმა 66 მილიონი ფრანკი უანდერძა ბოლგარიის თავადს ფერდინანდს.

„Eclair“ ამბობს, რომ მენელიკს ხელ-ახლა მოლაპარაკება ჰქონია დერვიშებთან, შემწეობა აღმოუჩინენთ, თუ რომ აბისინიას შეტაკება მოუხდა ინგლისთან.

**პარიზი.** პალატა. კრებას მრავალი დეპუტატი დაესწრო. გოტიე დაეკითხა პალატას, რა მდგომარეობაშია აღმოსავლეთის საქმეო. თავის სიტყვაში ისტორიულად განიხილა ყოველივე გარემოება და ბოლოს შეეკითხა რა მდგომარეობაშია მოლაპარაკების საქმეო. ჰანოტომ პასუხად სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც მრავალის ტაშის ცემით დააჯილდოვა პალატამ.

**ლონდონი.** „Times“ ტელეგრამით ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ ყველა ელჩებმა თავიანთ სახელმწიფოთა ინსტრუქციები მიიღეს, ინსტრუქციის ძალით ოსმალეთს არ უნდა დაეთმოს თესალია, ხოლო სტრატეგიული შესწორება თესალიის სამზღვრისა შეიძლება მიღებულ იქმნას. კაპიტულიაციის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთი კითხვების შესწორება და პირობის დადება შესახებ ტყვეების დაბრუნებისა შეიძლება. თავიანთი ისტრუქციები წარუდგინეს ოსმალეთის გარეშე საქმის მინისტრს.

**კონსტანტინეპოლი.** კრიტის კუნძულიდგან მოსულ ცნობებით, ევროპიელ წრეთ ძალიანა სურთ რაც შეიძლება მალე დანიშნონ გენერალ-გუბერნატორი. ამ გარემოებას ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

**პარიზი.** ელჩებს ჯერ არ უპასუხნიათ ოსმალეთის მთავრობისათვის.

ათინიდგან იუწყებიან, რომ სკულუდისმა, ელჩებთან ლაპარაკის დროს, განაცხადა, რომ საბერძნეთი არ დათანხმდება არც ფულის გაღებაზე და არც სამზღვრების შესწორებაზეო.

**ვენა.** სახელმწიფოთ საჭიროთ დაინახეს კრიტის საქმეების რაც შეიძლება მალე გასაუმჯობესებლად განაგრძონ ერთმანეთში მოლაპარაკება დიპლომატიურ მოქმედებასთან ერთად

**კალკუტა.** გაიდერაბიდამ იუწყებიან, რომ იქ მოუპარავთ შესანიშნავი ბრილიანტი, რომელიც იქაურ ხაზინაში ინახებოდა და იმის ნაცვლად უბრალო ქვა დაუტოვებიათ. ამ ქურდობამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამბობენ, რომ გაიდერაბადის ნიზამს ეს ბრილიანტი უნდა მიერთმია დედოფალ ვიქტორიასთვის, ამ უკანასკნელის იუბილეის დროს.

12 მაისი

**კონსტანტინეპოლი.** აქ მოყვანილი ბერძენთა ტყვეებმა მიჰმართეს სულთანს ადრესითა და მხურვალე მადლობას უცხადებენ ძალიან კარგად მოპყრობისა და მოქცევისათვის.

**კანეა.** 11 მაისს კრიტიდამ წავიდა უკანასკნელი ეშელონი ბერძენთა ჯარებისა პოლკოვნიკის სტაიკოსის წინამძღვარობით.

**პარიჟი.** „Temps“ უარ-ჰყოფს იმ ამბავს, ვითომც ედჰემ-ფაშას მინდობილი ჰქონოდეს პირდაპირ მოელაპარაკოს საბერძნეთს. ეს საქმე წინანდებულად დავალებული აქვთ ელჩებს კონსტანტინეპოლში. ამბობენ, რომ დროებით შერიგების პაემანი განგრძელებულ იქნებაო, თუ პაემნის გასვლამდე ზავს არ შეჰკვრენო.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $206^1/_2$ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100^7/_8$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_8$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^3/_8$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $98^1/_4$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 284 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $246^1/_2$ | — | — „ |

## წერილები რედაქციის მიმართ.

თანხმად ჩემ მიერ გამოცხადებულის შუამავლობისა ქართულის წიგნების გამოცემაში, ბ-ნ მიხეილ ხელაძემ იკისრა გამოცემა წიგნისა „ჩვენ ქალებს“, ხოლო „აღმოსავლეთის ისტორიის“ გამოცემა იკისრა პ. ი. მეფ—მა. ამ საქმის შესახებ უკანასკნელისაგან მივიღე შემდეგი წერილი:

„დიდის სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას წიგნების გამოცემაში იმ პირობით, რომელიც „ივერიის“ № 74-ში აღნიშნულია.

„ჩემის აზრით დიდი მნიშვნელობა ექნება „შუამავლობას“, რომელიც თქვენ გიკისრიათ, რადგან უიმისოდ ბევრს ძლიერ უძნელდება თავისს დედა-ენას ცოტაოდენი შემწეობა მაინც აღმოუჩინოს... წიგნები გთხოვთ გარდასცეთ გასასყიდათ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 25% საზოგადოების სასარგებლოდ... მიიღეთ სახეში, რომ ჩემი მიზანი წიგნების გამოცემაში ფულის მოგება არ არის. რასაც მივიღებ გაყიდული წიგნებიდამ, მითაც სხვა წიგნებს გამოვცემთ და სხ.“

იმედია, ბ-ნი მეფ—ლის და ხელაძის მაგალითი სხვასაც გამოიყვანს გამომცემლობის ასპარეზზე და ამით მართლაც რომ გავაცხოველებთ ქართულის წიგნების გამოცემის საქმეს.

ივანე როსტომაშვილი

—

უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ ქ-ნ პელაგია ალექსანდრეს ასულს ლომინაძისას, რომელმაც ქ. ბათუმში 13 მანეთი და 54 ცალი რუსულ-ქართული წიგნები შეაგროვა და შემოსწირა შემოქმედის წიგნთ-საცავს. აი შემომწირველთა სიაც:

ქ-ნ პელაგია ლომინაძისამ 5 მან., ქ-ნ ნინა ქადიეიშვილისამ 1 მან., მარო ელიავასამ 1 მან., ელავანსკიმ 2 მან., თომა კვაჭანტირაძემ 1 მან., ლავრენტი ბერძენიშვილმა 1 მან., სიმონ კალანდარიშვილმა 1 მან., ნიკო ჯირკველოვმა 1 მან., მათე ივ. ნიკოლაძემ სხვა-და-სხვა წიგნები 34 ცალი, პავლე ლუკ. მჭედლიშვილმა ერთი წლის კვალი და 14 ცალი წიგნი და ანტონ მუჯირმა 6 ცალი წიგნი.

სოფელ შემოქმედის სახალხო სამკითხველოს მმართველი ფილიპე მგელაძე.


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

## ი. გოგიელოვის შვილების საფაჭრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით.

(10—108—1)

**პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ** უფრო კარგად **ასხურებს** წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება **დრო და მასალა**

ისყიდება: **ივანე კულიჯანოვის** მაღაზიაში ქ. **თელავს.**

**ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.**

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, **ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.**

20—6.—17)


Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Мая 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.